თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4279614

ნომერი: AR1645597

თარიღი : 20.11.2018

გაცემის თარიღი : 27.11.2018

გაცნობის თარიღი : 27.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ქუჩა სტრაბონი , N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3662664
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.09.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი პროექტი. პროექტი უნდა შეიცავდეს გენგეგმას კეთილმოწყობის ასახვით, შენობის ყველა გეგმას და ფასადს საკადასტრო საზღვრების დატანით. ნახაზებზე მონიშნული უნდა იყოს დარღვევები. პანდუსებზე დატანილი უნდა იყოს ნიშნულები, გაბარიტული ზომები და დახრის პროცენტულობა. ასევე ყველა ფასადზე ღიობებს მიუთითეთ ნიშნულები. გაითვალისწინეთ: ამ ეტაპზე ატვირთულ გეგმებზე არ არის დატანილი ყველა დარღვევა (არსებული ხვრელები, რომლითაც შესაძლებელია დარღვეული იყოს სამეზობლო მიჯნის ზონა. გაითვალისწინეთ: იმ შემტხვევაში თუ ხვრელები განთავსებულია მიჯნის ზონაში, წარმოსადგენი იქნება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა). ასევე გაითვალისწინეთ: საჭიროა კონდენციონერები მოეწყოს ერთიანი სახით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიტანოთ ცვლილება ქ. თბილისის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემულ აქტში.

არ დგინდება განმცხადებლისუფლებამოსილება წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე
გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირი. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თვითმმართველთან არსებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში მისი თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ასევე შეზღუდვაა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე თუ ეხება ამ ნაწილებს საჭიროა მოიხსნას შეზღუდვა. წარმოდგენილ იქნეს თამთა ლავრელაშვილთან,დათო ოსიშვილთან და მარიანა ხეთაგურთან არსებული ვალდებულების საფუძვლები ვინაიდან მითითებულია გარკვეული ვალდებულების შესრულების პირობაზე ამონაწერში და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მათი თანხმობები ასევე შესაძლებელია დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.